

საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის დირექტივა 2004/81/EC

მესამე ქვეყნების მოქალაქეებისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების შესახებ, რომლებიც გახდნენ ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლნი ან უკანონო იმიგრაციის ხელშემწყობ მოქმედებათა სუბიექტები და თანამშრომლობენ უფლებამოსილ ორგანოებთან

ევროკავშირის საბჭო,

ითვალისწინებს რა ხელშეკრულებას ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ და, კერძოდ, მისი 63-ე მუხლის მე-3 პუნქტს,

ითვალისწინებს რა ევროკომისიის წინადადებას, ⁽¹⁾

თვალისწინებს რა ევროპარლამენტის მოსაზრებას, ⁽²⁾

ითვალისწინებს რა ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრებას, ⁽³⁾

გაიარა რა კონსულტაცია რეგიონების კომიტეტთან,

და ვინაიდან:

- (1) ერთიანი საიმიგრაციო პოლიტიკის შემუშავება, მათ შორის, უცხოელებისათვის ქვეყანაში შესვლისა და ბინადრობის ნებართვის მინიჭების პირობების განსაზღვრა, ასევე, უკანონო იმიგრაციასთან ბრძოლის ზომების დაგეგმვა არის შემადგენელი ელემენტი ევროკავშირის მთავარი ამოცანისა - თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შექმნა.
- (2) 1999 წლის 15 და 16 ოქტომბერს ტამპერაში გამართულ საგანგებო შეხვედრაზე ევროპულმა საბჭომ გამოთქვა მზაობა, სათავეშივე ებრძოლოს უკანონო იმიგრაციას, მაგალითად, მიზანმიმართულად დაუპირისპირდეს მათ, ვინც ჩართულია ადამიანებით ვაჭრობაში და მიგრანტთა ეკონომიკურ ექსპლუატაციაში. მან მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, კონცენტრირებულად მიმართონ თავიანთი ძალისხმევა კრიმინალური ქსელების ამოცნობასა და განადგურებაზე, ამავე დროს, მსხვერპლთა უფლებების დაცვაზე.
- (3) საერთაშორისო დონეზე ამ ფენომენის გარშემო მზარდი შემფოთების მანიშნებელია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციის მიღება, რომელიც შეივსო ოქმით ადამიანებით, განსაკუთრებით კი ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯისათვის და ოქმით ხმელეთით, ზღვითა და ჰაერით მიგრანტთა უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ. აღნიშნულ დოკუმენტებს ხელი მოაწერეს გაერთიანებამ და 15 წევრმა სახელმწიფომ 2000 წლის დეკემბერში.
- (4) წინამდებარე დირექტივა არ არღვევს ლტოლვილთა შესახებ საერთაშორისო სამართლით დაცულ უფლებებს ლტოლვილებისათვის, დამატებითი დახმარების ბენეფიციარებისა და

საერთაშორისო დაცვის მამიებელი პირებისათვის, ასევე, არ არღვევს ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტებს.

- (5) წინამდებარე დირექტივა არ არღვევს მსხვერპლთა, მოწმეებისა თუ განსაკუთრებით მოწყვლადი ადამიანების დაცვასთან დაკავშირებულ სხვა დებულებებს. ასევე არ ართმევს წევრ სახელმწიფოებს პრივილეგიას, განსაზღვრონ ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხი ჰუმანიტარულ ან სხვა საფუძველზე.
- (6) წინამდებარე დირექტივა აღიარებს ფუნდამენტურ უფლებებს და ეთანხმება აღიარებულ პრინციპებს, კერძოდ კი მათ, რაც დაცულია ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიით.
- (7) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აამოქმედონ წინამდებარე დირექტივის დებულებები სქესის, რასის, კანის ფერის, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობის, გენეტიკური თავისებურებების, ენის, რელიგიისა თუ რწმენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნულ უმცირესობათა კუთვნილების, დაბადების, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკისა ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე.
- (8) ევროპულ დონეზე ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულთა პრევენციისა და აღმოფხვრისათვის მიღებულია საბჭოს 2002 წლის 28 ნოემბრის დირექტივა 2002/90/EC ქვეყანაში უკანონო შესვლის, ტრანზიტისა და ბინადრობის ხელშეწყობის განსაზღვრის შესახებ ⁽⁴⁾; აგრეთვე საბჭოს 2002 წლის 19 ივლისის ჩარჩო გადაწყვეტილება 2002/629/JHA ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ ⁽⁵⁾.
- (9) წინამდებარე დირექტივას შემოაქვს ბინადრობის ნებართვა ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთათვის ან, თუ წევრი სახელმწიფო გადაწყვეტს გააფართოოს ამ დირექტივის ფარგლები, მესამე ქვეყნების მოქალაქისათვის, რომელიც გახდა უკანონო იმიგრაციის ხელშეწყობი ქმედების სუბიექტი, თუკი ბინადრობის ნებართვა აძლევს საკმარის მოტივაციას, ითანამშრომლოს უფლებამოსილ ორგანოებთან, ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ გარკვეული პირობების უზრუნველყოფით.
- (10) ამ თვალსაზრისით, აუცილებელია ჩამოყალიბდეს კრიტერიუმები ბინადრობის ნებართვის მინიჭებისთვის, პირობები ქვეყანაში ყოფნისათვის და საფუძვლები განახლებაზე უარის თქმისა და გაუქმებისათვის. ამ დირექტივის საფუძველზე, ქვეყანაში ყოფნის უფლება ექვემდებარება გარკვეულ პირობებს და დროებითია.
- (11) მესამე ქვეყნების შესაბამის მოქალაქეებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ბინადრობის ნებართვის მოპოვების შესაძლებლობის შესახებ და მიეცეთ დრო, გამოხატონ თავიანთი პოზიცია. ამით მათ მიეცემა შესაძლებლობა, მიიღონ კარგად ინფორმირებული გადაწყვეტილება, ითანამშრომლონ თუ არა უფლებამოსილ ორგანოებთან - პოლიციასთან, საგამომიებო ორგანოებსა თუ სასამართლო ხელისუფლებასთან (იმ რისკების გათვალისწინებით, რაც ამ თანამშრომლობას შეიძლება მოჰყვეს), რათა ასეთი გადაწყვეტილების შემთხვევაში თანამშრომლობა იყოს თავისუფალი და, აქედან გამომდინარე, ეფექტიანიც.
- (12) მესამე ქვეყნების შესაბამის მოქალაქეებს, მათი მოწყვლადობიდან გამომდინარე, უნდა მიენიჭოთ წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული დახმარება. ამ დახმარებამ მათ

აღდგენისა და დანაშაულის ჩამდენის გავლენისაგან სრული გათავისუფლების საშუალება უნდა მისცეს. წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარება მესამე ქვეყნების მოქალაქეებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს ფსიქოთერაპიულ მკურნალობასაც.

- (13) ბინადრობის ნებართვის სულ მცირე 6 თვით გაცემისა ან მისი განახლების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს უფლებამოსილმა ორგანომ, რომელმაც უნდა განიხილოს, რამდენად სრულდება შესაბამისი პირობები.
- (14) წინამდებარე დირექტივა უნდა გამოიყენებოდეს ისე, რომ არ დაირღვეს უფლებამოსილი ორგანოების მიერ მოქმედებათა განხორციელების პროცესი შესაბამისი შიდა სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე, განსაკუთრებით კი, შესაბამისი დანაშაულის გამოძიებისას.
- (15) წევრმა სახელმწიფოებმა მესამე ქვეყნების მოქალაქეებისათვის უნდა გაითვალისწინონ ქვეყანაში ყოფნის ნებართვა სხვა საფუძველებზე, მათი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ისინი წინამდებარე დირექტივის მოქმედების ფარგლებში კი ექცვიან, მაგრამ არ ან ვეღარ აკმაყოფილებენ ამით დადგენილ პირობებს, მათი ოჯახის წევრებისათვის, ან იმ პირთათვის, ვინც მათ ოჯახის წევრებად განიხილებიან.
- (16) მესამე ქვეყნების შესაბამისმა მოქალაქეებმა დამოუკიდებლობა რომ მოიპოვონ და არ დაუბრუნდნენ კრიმინალურ ქსელებს, საჭიროა, ბინადრობის ნებართვის მფლობელებს ხელი მიუწვდებოდეთ შრომის ბაზარზე, პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებასა და განათლებაზე, წინამდებარე დირექტივით დადგენილი პირობების ძალით. ბინადრობის ნებართვის მფლობელებისათვის პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებასა და განათლებაზე წვდომის უფლების მინიჭებისას წევრმა სახელმწიფოებმა კერძოდ უნდა გაითვალისწინონ მათი ქვეყანაში დარჩენის სავარაუდო ხანგრძლივობა.
- (17) მესამე ქვეყნების შესაბამისი მოქალაქეების მონაწილეობა არსებულ თუ საგანგებოდ შემოღებულ პროგრამებსა და პროექტებში ხელს უნდა უწყობდეს მათი ნორმალური სოციალური ცხოვრების აღდგენას.
- (18) თუ მესამე ქვეყნების შესაბამისმა მოქალაქემ წარადგინა განაცხადი სხვა ტიპის ბინადრობის ნებართვაზე, წევრმა სახელმწიფომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ჩვეულებრივი ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახებ. ამგვარი განაცხადის განხილვისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ მესამე ქვეყნების შესაბამისი მოქალაქეებს ბინადრობის ნებართვა წინამდებარე დირექტივის საფუძველზე აქვთ მინიჭებული.
- (19) წინამდებარე დირექტივის განხორციელების გათვალისწინებით, წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა მიაწოდონ ინფორმაცია, გამოვლენილი სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და განხილვასთან დაკავშირებულ საქმიანობათა ფარგლებში, რომლებიც ექცევა მართლმსაჯულებისა და შინაგანი საქმეების სფეროში..
- (20) რამდენადაც მიზანი - კერძოდ კი ბინადრობის ნებართვის მინიჭება მესამე ქვეყნების შესაბამისი მოქალაქეებისათვის, რომლებიც თანამშრომლობენ ადამიანებით ვაჭრობის

წინააღმდეგ ბრძოლაში - სათანადოდ ვერ მიიღწევა წვერი სახელმწიფოების მიერ და, ამდენად, ქმედების მასშტაბურობიდან გამომდინარე, უკეთ შესრულდება ევროკავშირის დონეზე, ევროკავშირის შეუძლია ზომების მიღება სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად, როგორც ეს დადგენილია მისი წესდების მე-5 მუხლით. პროპორციულობის პრინციპის თანახმად, როგორც ეს დადგენილია აღნიშნულ მუხლში, წინამდებარე დირექტივა არ გაცდება იმ ფარგლებს, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

(21) ოქმი გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცესთან მიმართებით, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, 1-ელ და მე-2 მუხლებში აცხადებს, რომ ეს წვერი სახელმწიფოები არ მონაწილეობენ წინამდებარე დირექტივის მიღებაში და არ არიან ვალდებული მის დებულებებსა და მათ გამოყენებაზე, ისე, რომ არ ირღვევა ამ ოქმის მე-4 მუხლი.

(22) ოქმი დანიის პოზიციის შესახებ თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცესთან მიმართებით, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, 1-ელ და მე-2 მუხლებში აცხადებს, რომ დანია არ მონაწილეობს წინამდებარე დირექტივის მიღებაში და არ არის ვალდებული მის დებულებებსა და მათ გამოყენებაზე;

მიიღეს წინამდებარე დირექტივა:

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1

მიზანი

წინამდებარე დირექტივის მიზანია, განსაზღვროს შეზღუდული ხანგრძლივობით ბინადრობის ნებართვის მინიჭების პირობები, შესაბამისი შიდა სამართალწარმოების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, მესამე ქვეყნების მოქალაქეებისათვის, რომლებიც თანამშრომლობენ ადამიანებით ვაჭრობის ან უკანონო იმიგრაციის ხელშემწყობ ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მუხლი 2

განმარტებები

წინამდებარე დირექტივის მიზნებისათვის:

- (a) „მესამე ქვეყნის მოქალაქე“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც არ არის ევროკავშირის მოქალაქე წესდების მე-17(1) მუხლის მნიშვნელობით;
- (b) „უკანონო იმიგრაციის ხელშემწყობი ქმედება“ მოიცავს შემთხვევებს, რომლებიც მოხსენიებულია დირექტივის 2002/90/EC 1-ელ და მე-2 მუხლებში;
- (c) „ადამიანებით ვაჭრობა“ მოიცავს შემთხვევებს, რომლებიც მოხსენიებულია ჩარჩო გადაწყვეტილების 2002/629/JHA 1-ელ, მე-2 და მე-3 მუხლებში;
- (d) „ზომები გაძევების შესახებ ბრძანების შესასრულებლად“ ნიშნავს წევრი სახელმწიფოს მიერ გატარებულ ნებისმიერ ღონისძიებას, რომელიც ემსახურება მესამე ქვეყნის მოქალაქის ქვეყნიდან გაძევების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულებას;
- (e) „ბინადრობის ნებართვა“ ნიშნავს წევრი სახელმწიფოს გაცემულ ნებართვას, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეს აძლევს უფლებას, კანონიერად იცხოვროს მის ტერიტორიაზე, თუ ის აკმაყოფილებს წინამდებარე დირექტივით დადგენილ პირობებს;
- (f) „თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი“ ნიშნავს მესამე ქვეყნის თვრამეტ წლამდე ასაკის მოქალაქეს, რომელიც შევიდა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მასზე კანონმდებლობის ძალით ან რეალურად პასუხისმგებელი თანმხლები პირის გარეშე და რომელზეც ასეთი პირი სათანადოდ არ ზრუნავს, ან არასრულწლოვანი, რომელიც დარჩა თანმხლები პირის გარეშე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ.

მუხლი 3

ფარგლები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ წინამდებარე დირექტივა მესამე ქვეყნების მოქალაქეების მიმართ, რომლებიც არიან ან იყვნენ ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებული დანაშაულის მსხვერპლნი, თუნდაც რომ უკანონოდ შესულიყვნენ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.
2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ წინამდებარე დირექტივა მესამე ქვეყნების მოქალაქეების მიმართ, რომლებიც გახდნენ უკანონო იმიგრაციის ხელშემწყობ ქმედებათა სუბიექტები.
3. წინამდებარე დირექტივა უნდა გამოიყენებოდეს მესამე ქვეყნების შესაბამისი მოქალაქეების მიმართ, რომლებმაც მიაღწიეს სრულწლოვანებას, როგორც ეს დადგენილია შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით. გამონაკლისის სახით, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაწყვიტონ ამ დირექტივის გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართაც იმ პირობით, რასაც მათი შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს.

მუხლი 4

უფრო ხელსაყრელი დებულებები

წინამდებარე დირექტივა არ უშლის ხელს წევრ სახელმწიფოებს, მიიღონ ან გამოიყენონ უფრო ხელსაყრელი დებულებები იმ პირების მიმართ, რომლებსაც ეს დირექტივა შეეხება.

თავი II

ბინადრობის ნებართვის მინიჭების პროცედურა

მუხლი 5

მესამე ქვეყნების შესაბამისი მოქალაქეებისათვის მიწოდებული ინფორმაცია

როცა წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო მიიჩნევს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქე შეიძლება მოექცეს წინამდებარე დირექტივის მოქმედების ფარგლებში, მან უნდა აცნობოს შესაბამის პირებს ამ დირექტივით შეთავაზებული შესაძლებლობები.

წევრმა სახელმწიფომ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ ამგვარი ინფორმაცია მიაწოდოს არასამთავრობო ორგანიზაციამ ან წევრი სახელმწიფოს მიერ საგანგებოდ გამოყოფილმა ასოციაციამ.

მუხლი 6

რეაგირების პერიოდი

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მესამე ქვეყნების შესაბამის მოქალაქეებს ჰქონდეთ დრო რეაგირებისათვის, რა პერიოდშიც ისინი მოახერხებენ აღდგენას და დანაშაულის ჩამდენთა გავლენისაგან გათავისუფლებას, რათა შეძლონ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება, ითანამშრომლონ თუ არა უფლებამოსილ ორგანოებთან.

პირველ პუნქტში აღნიშნული რეაგირების პერიოდის ხანგრძლივობა და მისი დაწყების მომენტი უნდა განისაზღვროს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. რეაგირებისა და უფლებამოსილ ორგანოთა მიერ გადაწყვეტილების გამოტანის პერიოდში, მესამე ქვეყნების შესაბამის მოქალაქეებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მე-7 მუხლით გათვალისწინებულ მკურნალობაზე და არ უნდა იყოს შესაძლებელი მათ მიმართ იძულებითი გაძევების ბრძანების გამოყენება.

3. რეაგირების პერიოდი არ უნდა წარმოშობდეს უფლებამოსილებას ბინადრობაზე ამ დირექტივის საფუძველზე.

4. წევრ სახელმწიფოებს ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ რეაგირების პერიოდის შეწყვეტა, თუ უფლებამოსილი ორგანოები აღმოაჩენენ, რომ შესაბამისი პირი აქტიურად, ნებაყოფლობით და საკუთარი ინიციატივით განაახლებს ურთიერთობას დანაშაულის ჩამდენ პირებთან, როგორც ეს აღნიშნულია მუხლებში 2(b) და (c) ან ეს განპირობებულია საჯარო პოლიტიკის თუ ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზეზით.

მუხლი 7

მოპყრობა ბინადრობის ნებართვის მინიჭებამდე

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მესამე ქვეყნების შესაბამის მოქალაქეებს, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი სახსრები, მიეცეთ არსებობისათვის აუცილებელი მინიმალური პირობები და ხელმისაწვდომობა გადაუდებელ სამედიცინო მკურნალობაზე. მათ უნდა იზრუნონ განსაკუთრებით მოწყვლად პირთა საგანგებო საჭიროებებზე, მათ შორის, თუ ეს აუცილებელია და ადგილობრივი კანონმდებლობაც ითვალისწინებს, აღმოუჩინონ ფსიქოლოგიური დახმარება.
2. წინამდებარე დირექტივის გამოყენებისას წევრმა სახელმწიფოებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ მესამე ქვეყნების შესაბამის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და დაცვის საჭიროებებს, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. წევრმა სახელმწიფოებმა მესამე ქვეყნების შესაბამისი მოქალაქეებისათვის საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყონ წერილობითი და ზეპირი თარგმანი.
4. წევრმა სახელმწიფოებმა მესამე ქვეყნების მოქალაქეებს შეიძლება მიაწოდონ უფასო იურიდიული დახმარება, თუ ამას ითვალისწინებს ადგილობრივი კანონმდებლობა, ამ კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მუხლი 8

ბინადრობის ნებართვის მინიჭება და განახლება

1. რეაგირების პერიოდის ამოწურვის შემდეგ, ან მანამდეც, თუ უფლებამოსილი ორგანოები ჩათვლიან, რომ მესამე ქვეყნის შესაბამისი მოქალაქე უკვე აკმაყოფილებს (b) ქვეპუნქტით დადგენილ კრიტერიუმებს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:
 - (a) სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი ყოფნის გახანგრძლივების შესაძლებლობა, გამოძიების ან სამართალწარმოების მიზნით,
 - (b) გამოავლინა თუ არა მან თანამშრომლობის მკაფიო განზრახვა,
 - (c) გაწყვიტა თუ არა ყოველგვარი კავშირი იმ მოქმედებათა ჩამდენ პირებთან, რომლებიც მე-2 მუხლის (b) და (c) ქვეპუნქტებში დასახელებულ დანაშაულთა შორის ექცევა.
2. 1-ელ პუნქტში დასახელებული პირობების შესრულება უნდა იყოს სავალდებულო ბინადრობის ნებართვის მინიჭებისათვის ისე, რომ არ დაირღვეს საჯარო პოლიტიკასა თუ ეროვნული უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები.
3. ბინადრობის ნებართვა ძალაში უნდა იყოს მინიმუმ ექვსი თვის განმავლობაში ისე, რომ არ დაირღვეს ბინადრობის ნებართვის გაუქმებასთან დაკავშირებული მე-14 მუხლის დებულებები. ნებართვა უნდა განახლდეს, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები კვლავ კმაყოფილდება.

თავი III

ბინადრობის ნებართვის მქონე პირთა მიმართ მოპყრობა

მუხლი 9

მოპყრობა ბინადრობის ნებართვის გაცემის შემდეგ

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბინადრობის ნებართვის მფლობელებმა, რომელთაც არ აქვთ საკმარისი სახსრები, მიიღონ მინიმუმ ისეთი მოპყრობა, რასაც მე-7 მუხლი ითვალისწინებს.
2. თუ მესამე ქვეყნების შესაბამის მოქალაქეებს არ აქვთ საკმარისი თანხები, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მათი აუცილებელი სამედიცინო ან სხვა სახის დახმარება, მით უფრო, სპეციალური საჭიროებების შემთხვევაში, კერძოდ, თუ არის ორსული ქალი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, სექსუალური ან სხვა ტიპის ძალადობის მსხვერპლი, ასევე არასრულწლოვანი, თუ წევრმა სახელმწიფომ გადაწყვიტა მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვარიანტის გამოყენება.

მუხლი 10

არასრულწლოვნები

თუ წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვარიანტის გამოყენება, უნდა შესრულდეს შემდეგი დებულებები:

- (a) წინამდებარე დირექტივის გამოყენებისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ პროცედურა შეესაბამებოდეს ბავშვის ასაკსა და მომწიფების ხარისხს. კერძოდ, თუ მიიჩნევა, რომ ეს ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, შესაძლებელია გაზარდოს რეაგირების პერიოდი.
- (b) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არასრულწლოვნებს ხელი მიუწვდებოდეთ საგანმანათლებლო სისტემაზე იმავე პირობებით, რითაც მოქალაქეებს. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაადგინონ, რომ განათლების ხელმისაწვდომობა მოიცავდეს მხოლოდ საჯარო საგანმანათლებლო სისტემას.
- (c) თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე თანმხლები პირის გარეშე არასრულწლოვანია, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები მისი ვინაობის, მოქალაქეობისა და თანმხლები პირის არსებობის დასადგენად. მათ უნდა იხმარონ ყოველი ღონე, რათა რამდენადაც შესაძლებელია სწრაფად აღმოაჩინონ მისი ოჯახის მდებარეობა და დაუყოვნებლივ გადადგან აუცილებელი ნაბიჯები, რომ აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყონ მისი სამართლებრივი წარმომადგენლობა, მათ შორის, სისხლის სამართლის პროცესში, როგორც ამას ითვალისწინებს ადგილობრივი კანონმდებლობა.

მუხლი 11

მუშაობა, პროფესიულ-ტექნიკური სწავლება და განათლება

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ წესები, რომელთა თანახმადაც ბინადრობის ნებართვის მფლობელებს ექნებათ წვდომა შრომით ბაზარზე, პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებასა და განათლებაზე. აღნიშნული წვდომა უნდა შემოიფარგლოს ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადით.
2. შრომითი ბაზრის, პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისა და განათლების ხელმისაწვდომობის პირობები და პროცედურები უნდა განსაზღვრონ უფლებამოსილიმა ორგანოებმა, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12

პროგრამები და პროექტები მესამე ქვეყნის შესაბამისი მოქალაქეებისათვის

1. ნორმალურ სოციალურ ცხოვრებასთან დაბრუნების მიზნით, მესამე ქვეყნების შესაბამის მოქალაქეებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ არსებულ პროგრამებსა თუ პროექტებზე, რომლებსაც უზრუნველყოფენ წევრი სახელმწიფოები ან არასამთავრობო ორგანიზაციები ან წევრ სახელმწიფოებთან სპეციალური შეთანხმების მქონე ასოციაციები. მათ შორის შეიძლება იყოს კურსები მათი პროფესიული უნარების გასაუმჯობესებლად, ან მომზადება წარმოშობის ქვეყანაში დასაბრუნებლად, შესაბამისი დახმარების გაწევით.
- წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება უზრუნველყონ საგანგებო პროგრამები ან პროექტები მესამე ქვეყნების შესაბამისი მოქალაქეებისათვის.
2. როცა წევრი სახელმწიფო გადაწყვეტს შემოიღოს და განახორციელოს 1-ელ პუნქტში დასახელებული პროგრამები ან პროექტები, ამან შეიძლება გამოიწვიოს ბინადრობის ნებართვის მინიჭებისა ან მისი განახლების საკითხის პირობების შეცვლა, აღნიშნულ პროგრამებსა თუ პროექტებში მონაწილეობიდან გამომდინარე.

თავი IV

უარი განახლებაზე ან გაუქმება

მუხლი 13

უარი განახლებაზე

1. წინამდებარე დირექტივის საფუძველზე გაცემული ბინადრობის ნებართვა არ შეიძლება განახლდეს, თუ აღარ კმაყოფილდება მე-8(2) მუხლით გათვალისწინებული პირობები ან თუ უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილებით, შეწყდა შესაბამისი სამართალწარმოება.
2. როცა წინამდებარე დირექტივის საფუძველზე გაცემული ბინადრობის ნებართვის ვადა იწურება, გამოიყენება ჩვეულებრივი კანონმდებლობა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ.

მუხლი 14

გაუქმება

ბინადრობის ნებართვა შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ მომენტში, როცა აღარ კმაყოფილდება მისი მინიჭებისათვის საჭირო პირობები. კერძოდ, ბინადრობის ნებართვა შეიძლება გაუქმდეს შემდეგ შემთხვევებში:

- (a) თუ ბინადრობის ნებართვის მფლობელმა აქტიურად, ნებაყოფლობით და თავისი ინიციატივით განაახლა კონტაქტი იმ დანაშაულთა ჩადენაში ეჭვმიტანილებთან, რომლებიც მე-2 მუხლის (b) და (c) ქვეპუნქტებშია მოხსენიებული; ან
- (b) თუ უფლებამოსილი ორგანო მიიჩნევს, რომ მსხვერპლის თანამშრომლობა მოტყუებითია, ან მისი საჩივარი ყალბი ან არასწორია; ან
- (c) საჯარო პოლიტიკისა თუ ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზეზით; ან
- (d) როცა მსხვერპლი წყვეტს თანამშრომლობას; ან
- (e) როცა უფლებამოსილი ორგანოები გადაწყვეტენ, შეწყვიტონ სამართალწარმოება.

თავი V

დასკვნითი დებულებები

მუხლი 15

დაცვის უზრუნველყოფა

წინამდებარე დირექტივა უნდა გამოიყენებოდეს მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვასთან დაკავშირებული შიდა კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური წესების დარღვევის გარეშე.

მუხლი 16

ანგარიშგება

1. არაუგვიანეს 2008 წლის 6 აგვისტოსი კომისიამ ევროპარლამენტსა და საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში წევრ სახელმწიფოებში წინამდებარე დირექტივის გამოყენების შესახებ და შესთავაზოს შესაძლო ნებისმიერი ცვლილება, სადაც ეს აუცილებელია. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა გაუზიარონ ნებისმიერი რელევანტური ინფორმაცია აღნიშნული ანგარიშის მოსამზადებლად.
2. 1-ელ პუნქტში მოხსენიებული ანგარიშის წარდგენის შემდეგ, კომისიამ სამ წელიწადში ერთხელ უნდა წარუდგინოს ევროპარლამენტსა და საბჭოს ანგარიში წევრ სახელმწიფოებში წინამდებარე დირექტივის გამოყენების შესახებ.

მუხლი 17

ტრანსპოზიცია

წევრმა სახელმწიფოებმა 2006 წლის 6 აგვისტომდე უნდა ამოქმედონ კანონმდებლობა, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, რაც აუცილებელია წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობისათვის. მათ დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია კომისიას.

როცა წევრი სახელმწიფოები მიიღებენ ამ დებულებებს, ისინი უნდა მოიცავდნენ მითითებას წინამდებარე დირექტივაზე. ამგვარი მითითება აუცილებელია ამ დებულებათა ოფიციალური გამოქვეყნების შემთხვევაში. წევრი სახელმწიფოები თავად განსაზღვრავენ, როგორ ჩამოაყალიბონ აღნიშნული მითითება.

მუხლი 18

ძალაში შესვლა

წინამდებარე დირექტივა ძალაში შევა მისი *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში* გამოქვეყნების დღიდან.

მუხლი 19

ადრესატები

წინამდებარე დირექტივის ადრესატები არიან წევრი სახელმწიფოები, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.

შესრულებულია ლუქსემბურგში, 2004 წლის 29 აპრილს.

საბჭოსთვის

პრეზიდენტი

მ. მაკდაუელი

(¹) OJ C 126 E, 28.5.2002, გვ. 393.

(²) მოსაზრება წარედგინა 2002 წლის 5 დეკემბერს (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ არ გამოქვეყნებულა)

(³) OJ C 221, 17.9.2002, გვ. 80.

(⁴) OJ L 328, 5.12.2002, გვ. 17.

(⁵) OJ L 203, 1.8.2002, გვ. 1.